სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/212

28 ივლისი 2019

ქ. თბილისი

„კომერციული და კერძო სამართლის ინსტიტუტის“ სახელწოდების ცვლილებისა და მისი დებულების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ირ გაბისონიას მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ივლისის №01-05-02/16 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეეცვალოს სახელწოდება სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დაქვემდებარებაში არსებულ „კომერციული და კერძო სამართლის ინსტიტუტს“ და ეწოდოს „თანამედროვე ტექნოლოგიების და ინტერნეტსამართლის კვლევითი ინსტიტუტი ;“
2. დამტკიცდეს აღნიშნული ინსტიტუტის დებულება (ახალი რედაქცია) წარმოდგენილი სახით;
3. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს აღნიშნული საკითხი;
4. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფ. ირ. გაბისონია;
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**